საქართველოს მთავრობის

დადგენილება №96

2010 წლის 30 მარტი

ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების დამტკიცების შესახებ

მუხლი 1

1. „შემოსავლების სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-15 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად დამტკიცდეს სსიპ – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის თანდართული საფასურები და მათი განაკვეთები.

2. დაინტერესებული პირი ვალდებულია პირადად ან მესამე პირის მეშვეობით გადაიხადოს დადგენილი საფასური სსიპ – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევამდე, გარდა ამ დადგენილებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

საქართველოს მთავრობის 2011 წლის 11 მარტის დადგენილება №121 - ვებგვერდი, 15.03.2011წ.

მუხლი 1[1]

სსიპ – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის დადგენილი საფასურის გადახდისაგან თავისუფლდებიან:

ა) საქართველოს ფინანსთა სამინისტრო;

ბ) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური;

გ) საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭო;

დ) საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შექმნილი ვადაგადაცილებულ საგადასახადო და სასესხო დავალიანებათა რესტრუქტურიზაციის მიზანშეწონილობის საკითხის შემსწავლელი კომისია;

ე) საქართველოს პროკურატურა;

ვ) საქართველოს თავდაცვის სამინისტრო;

ზ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;

თ) საქართველოს ეროვნული ბანკი;

ი) საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური.

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის დადგენილება №178 - სსმ III, №80, 06.07.2010წ., მუხ.1172
საქართველოს მთავრობის 2011 წლის 13 იანვრის დადგენილება №21 - ვებგვერდი, 18.01.2011წ.
საქართველოს მთავრობის 2011 წლის 11 მარტის დადგენილება №121 - ვებგვერდი, 15.03.2011წ.
საქართველოს მთავრობის 2016 წლის 23 ივნისის დადგენილება №283 - ვებგვერდი, 27.06.2016წ.

მუხლი 1[2]

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში ან სასამართლოში საგადასახადო ან საბაჟო დავაზე მიღებული გადაწყვეტილების, ასევე გადასახადის გადამხდელის (მოვალის) საგადასახადო გირავნობით/იპოთეკით დატვირთული, ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებული მომსახურების გაწევა ხორციელდება საფასურის გარეშე.

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის დადგენილება №178 - სსმ III, №80, 06.07.2010წ., მუხ.1172
საქართველოს მთავრობის 2011 წლის 5 იანვრის დადგენილება №7 - ვებგვერდი,10.01.2011წ.
საქართველოს მთავრობის 2017 წლის 13 თებერვლის დადგენილება №76 – ვებგვერდი, 14.02.2017წ.
საქართველოს მთავრობის 2019 წლის 27 სექტემბრის დადგენილება №472 – ვებგვერდი, 01.10.2019წ.

მუხლი 1[3]

საქართველოს ფინანსთა მინისტრი, აგრეთვე საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის უფროსი უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება ამ დადგენილებით განსაზღვრული მომსახურების გაწევისათვის დადგენილი საფასურის გადახდისაგან პირის გათავისუფლების შესახებ.

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 10 აგვისტოს დადგენილება №232 - სსმ III, №98, 12.08.2010წ., მუხ.1441

მუხლი 1[4]

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის გაფორმების განყოფილებებისა და გაფორმების ეკონომიკური ზონების მიერ სსიპ – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების 54-ე, 57-ე, მე-60–64-ე და 86-ე გრაფებით, აგრეთვე საბაჟო გამშვები პუნქტის „ფოთისა და ყულევის პორტები და ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის“ მიერ 59-ე გრაფით გათვალისწინებული მომსახურების განხორციელებისას, მომსახურების საფასური გადახდილი უნდა იქნეს მომსახურების გაწევიდან 5 კალენდარული დღის განმავლობაში.

2. „ოქროს სიის“ მონაწილე პირისათვის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებასა და გაფორმებასთან დაკავშირებული, ამ დადგენილებით განსაზღვრული მომსახურების გაწევისას მომსახურების საფასური გადახდილი უნდა იქნეს საქართველოს ფინანსთა მინისტრის შესაბამისი ბრძანებით დადგენილი „ოქროს სიის“ მონაწილე პირის მიერ იმპორტის გადასახდელების გადახდის ვადაში.

3. საქონლის გაფორმებასთან დაკავშირებული, ამ დადგენილებით განსაზღვრული მომსახურების გაწევისას მომსახურების საფასური გადახდილი უნდა იქნეს საქართველოს ფინანსთა მინისტრის შესაბამისი ბრძანებით იმპორტის გადასახდელების გადახდისათვის დადგენილ ვადაში, გარდა ამ მუხლითა და 1^5 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4. „სსიპ – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების“ მე-13 გრაფით გათვალისწინებული მომსახურების გაწევისათვის მომსახურების საფასური გადახდილი უნდა იქნეს საბაჟო დეკლარაციის/რეექსპორტის დეკლარაციის წარდგენამდე ან ავტოსატრანსპორტო საშუალების საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანამდე.

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ნოემბრის დადგენილება №337-სსმ III, №146,10.11.2010წ., მუხ.2077
საქართველოს მთავრობის 2011 წლის 13 იანვრის დადგენილება №21 - ვებგვერდი, 1 8.01.2011წ.
საქართველოს მთავრობის 2011 წლის 26 იანვრის დადგენილება №47 - ვებგვერდი,31.01.2011წ.
საქართველოს მთავრობის 2011 წლის 27 ივნისის დადგენილება №259 - ვებგვერდი, 29.06.2011წ.
საქართველოს მთავრობის 2011 წლის 8 ოქტომბრის დადგენილება №374 - ვებგვერდი, 12.10.2011წ.
საქართველოს მთავრობის 2011 წლის 13 ოქტომბრის დადგენილება №394 - ვებგვერდი, 18.10.2011წ.
საქართველოს მთავრობის 2011 წლის 21 ოქტომბრის დადგენილება №401 - ვებგვერდი, 26.10.2011წ.
საქართველოს მთავრობის 2011 წლის 18 ნოემბრის დადგენილება №437 - ვებგვერდი, 25.11.2011წ.
საქართველოს მთავრობის 2012 წლის 25 ივნისის დადგენილება №227 - ვებგვერდი, 28.06.2012წ.
საქართველოს მთავრობის 2012 წლის 8 აგვისტოს დადგენილება №327 - ვებგვერდი, 08.08.2012წ.
საქართველოს მთავრობის 2012 წლის 12 სექტემბრის დადგენილება №374 - ვებგვერდი, 12.09.2012წ.
საქართველოს მთავრობის 2013 წლის 25 აპრილის დადგენილება №8 9 – ვებგვერდი, 26.04.2013წ.
საქართველოს მთავრობის 2013 წლის 15 ნოემბრის დადგენილება №296 – ვებგვერდი, 18.11.2013წ.
საქართველოს მთავრობის 2014 წლის 11 ივნისის დადგენილება №377 - ვებგვერდი, 12.06.2014წ.
საქართველოს მთავრობის 2015 წლის 5 მარტის დადგენილება №86 - ვებგვერდი, 09.03.2015წ.
საქართველოს მთავრობის 2015 წლის 15 მაისის დადგენილება №210 - ვებგვერდი, 15.05.2015წ.
საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბრის დადგენილება №470 – ვებგვერდი, 14.09.2015წ.
საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 ივნისის დადგენილება №251 - ვებგვერდი, 13.06.2016წ.
საქართველოს მთავრობის 2017 წლის 10 ოქტომბრის დადგენილება №461 - ვებგვერდი, 11.10.2017წ.
საქართველოს მთავრობის 2019 წლის 27 სექტემბრის დადგენილება №472 – ვებგვერდი, 01.10.2019წ.

მუხლი 1^5

თუ პირის მიერ მოთხოვნილია საფოსტო გზავნილის გაფორმება, იგი უფლებამოსილია, მომსახურების საფასური გადაიხადოს საბაჟო დეკლარაციის – ფორმა 4-ის რეგისტრაციიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში.

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ნოემბრის დადგენილება №337-სსმ III, №146,10.11.2010წ., მუხ.2077
საქართველოს მთავრობის 2011 წლის 13 იანვრის დადგენილება №21 - ვებგვერდი, 18.01.2011წ.
საქართველოს მთავრობის 2012 წლის 25 ივნისის დადგენილება №227 - ვებგვერდი, 28.06.2012წ.
საქართველოს მთავრობის 2015 წლის 5 მარტის დადგენილება №86 - ვებგვერდი, 09.03.2015წ.
საქართველოს მთავრობის 2019 წლის 27 სექტემბრის დადგენილება №472 – ვებგვერდი, 01.10.2019წ.

მუხლი 1^6. (ამოღებულია)

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 28 დეკემბრის დადგენილება №414 - სსმIII, №172, 31.12.2010 წ., მუხ.2487
საქართველოს მთავრობის 2011 წლის 5 იანვრის დადგენილება №7 - ვებგვერდი,10.01.2011წ.
საქართველოს მთავრობის 2011 წლის 21 იანვრის დადგენილება №27 - ვებგვერდი, 27.01.2011წ.
საქართველოს მთავრობის 2011 წლის 23 თებერვლის დადგენილება №97 - ვებგვერდი,28.02.2011წ.
საქართველოს მთავრობის 2011 წლის 31 მარტის დადგენილება №152 - ვებგვერდი, 05.04.2011წ.
საქართველოს მთავრობის 2011 წლის 12 აპრილის დადგენილება №177 - ვებგვერდი, 15.04.2011წ.

მუხლი 1^7

სსიპ – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების“ 54-ე, 68-ე, 68^1, 75-ე, 82-ე, 82^1, 82^2 და 87-ე გრაფებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევისათვის დადგენილი საფასურის გადახდისაგან გათავისუფლებულია:

ა) საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება, სტიქიური უბედურების, ავარიისა და კატასტროფის ლიკვიდაციის, აგრეთვე ჰუმანიტარული დახმარების მიზნით;

ბ) საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება, რომელიც გათვალისწინებულია გრანტის შესახებ ხელშეკრულებით;

გ) უცხო ქვეყნების დიპლომატიური და მათთან გათანაბრებული წარმომადგენლობების ოფიციალური სარგებლობისათვის, აგრეთვე ამ წარმომადგენლობების დიპლომატიური და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის (მათთან მცხოვრები ოჯახის წევრების ჩათვლით) პირადი სარგებლობისათვის განკუთვნილი საქონელი;

დ) საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 199-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად;

ე) ეროვნული და უცხოური ვალუტისა (გარდა ნუმიზმატიკური მიზნებით გამოსაყენებლად

გათვალისწინებულისა) და ფასიანი ქაღალდების თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება;

ვ) საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების ტრანზიტი;

ზ) საქონლის ექსპორტი და გარე გადამუშავება;

თ) საქონლის დაბრუნება, საქართველოს საბაჟო კოდექსის 107-ე მუხლის პირველი – მე-4 ნაწილებით გათვალისწინებულ შემთხვევაში;

ი) იმ საქონლის დროებით შემოტანა, რომელიც სრულად გათავისუფლებულია იმპორტის გადასახდელისაგან;

კ) ფიზიკური პირის მიერ თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების პროცედურაში გაცხადებული 3 000 ლარამდე საბაჟო ღირებულების საქონლის გაფორმება სახმელეთო საზღვარზე განთავსებულ საბაჟო გამშვებ პუნქტში – საბაჟო დეკლარაციით ან გაფორმების ეკონომიკურ ზონაში – „ფიზიკური პირის საქონლის საბაჟო დეკლარაციით“;

ლ) საფოსტო გზავნილით შემოტანილი, 10 000 ლარამდე ღირებულების საქონლის გაფორმება;

მ) საბაჟო საწყობის პროცედურაში საქონლის გაფორმება;

ნ) საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) 8701, 8702, 8703, 8704, 8705 და 8711 სასაქონლო პოზიციებით გათვალისწინებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალების (რომლის შიგაწვის ძრავას ცილინდრის მუშა მოცულობა 50 სმ^3-ზე მეტია, ხოლო ელექტროძრავას შემთხვევაში – მაქსიმალური გამომუშავებული სიმძლავრე 4 კვტ-ზე მეტია) ან 8716 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებული მისაბმელისა და ნახევრად მისაბმელის რეექსპორტი;

ო) ამ მუხლის „ნ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულის გარდა სხვა ავტოსატრანსპორტო საშუალებების შემთხვევაში, მომსახურების გაწევისათვის დადგენილი საფასურის გადახდისაგან გათავისუფლებულია დროებით შემოტანის პროცედურის შემდეგ რეექსპორტი;

პ) საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება, რომლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული და ძალაში შესული საერთაშორისო ხელშეკრულების შესაბამისად, გათავისუფლებულია გადასახად(ებ)ისაგან.

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 28 დეკემბრის დადგენილება №414 - სსმIII, №172, 31.12.2010 წ., მუხ.2487
საქართველოს მთავრობის 2011 წლის 5 იანვრის დადგენილება №7 - ვებგვერდი, 10.01.2011წ.
საქართველოს მთავრობის 2011 წლის 13 იანვრის დადგენილება №21 - ვებგვერდი,18.01.2011წ.
საქართველოს მთავრობის 2011 წლის 21 იანვრის დადგენილება №27 - ვებგვერდი, 27.01.2011წ.
საქართველოს მთავრობის 2011 წლის 26 იანვრის დადგენილება №47 - ვებგვერდი,31.01.2011წ.
საქართველოს მთავრობის 2011 წლის 23 თებერვლის დადგენილება №97 - ვებგვერდი,28.02.2011წ.
საქართველოს მთავრობის 2011 წლის 13 მაისის დადგენილება №204 - ვებგვერდი, 17.05.2011წ.
საქართველოს მთავრობის 2011 წლის 24 მაისის დადგენილება №221 - ვებგვერდი, 27.05.2011წ.
საქართველოს მთავრობის 2011 წლის 7 ივნისის დადგენილება №231 - ვებგვერდი, 08.06.2011წ.
საქართველოს მთავრობის 2011 წლის 18 ნოემბრის დადგენილება №437 - ვებგვერდი, 25.11.2011წ.
საქართველოს მთავრობის 2012 წლის 25 ივნისის დადგენილება №227 - ვებგვერდი, 28.06.2012წ.
საქართველოს მთავრობის 2012 წლის 18 სექტემბრის დადგენილება №394 - ვებგვერდი, 18.09.2012წ.
საქართველოს მთავრობის 2013 წლის 1 7 მაისის დადგენილება №118 – ვებგვერდი, 2 1.05.2013წ.
საქართველოს მთავრობის 2013 წლის 15 ნოემბრის დადგენილება №296 – ვებგვერდი, 18.11.2013წ.
საქართველოს მთავრობის 2014 წლის 10 იანვრის დადგენილება №44 – ვებგვერდი, 15.01.2014წ.
საქართველოს მთავრობის 2014 წლის 10 იანვრის დადგენილება №43 – ვებგვერდი, 15.01.2014წ.
საქართველოს მთავრობის 2015 წლის 5 მარტის დადგენილება №86 - ვებგვერდი, 09.03.2015წ.
საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის დადგენილება №365 – ვებგვერდი, 27.07.2015წ.
საქართველოს მთავრობის 2019 წლის 27 სექტემბრის დადგენილება №472 – ვებგვერდი, 01.10.2019წ.

მუხლი 1^8

1. გადასახადის გადამხდელის ინიციატივით საგადასახადო შემოწმების ჩატარების მოთხოვნის შემთხვევაში პირი უფლებამოსილია მომსახურების საფასური გადაიხადოს საგადასახადო შემოწმების ჩატარებაზე საგადასახადო ორგანოს თანხმობის მიღებიდან 5 დღის ვადაში.

2. „სსიპ – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების“ მე-60–64-ე გრაფებით გათვალისწინებული მომსახურების მოთხოვნის შემთხვევაში, მომსახურების საფასური გადახდილი უნდა იქნეს სსიპ – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევის შემდგომ, დაინტერესებული პირის მიერ ექსპერტის დასკვნის მიღებამდე, გარდა ამ დადგენილების 1^4 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

საქართველოს მთავრობის 2011 წლის 11 მარტის დადგენილება №121 - ვებგვერდი, 15.03.2011წ.
საქართველოს მთავრობის 2011 წლის 18 ნოემბრის დადგენილება №437 - ვებგვერდი, 25.11.2011წ.
საქართველოს მთავრობის 2015 წლის 5 მარტის დადგენილება №86 - ვებგვერდი, 09.03.2015წ.

მუხლი 1^9

„სსიპ – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების“ 76-ე გრაფით გათვალისწინებული მომსახურების საფასური არ ვრცელდება:

ა) მიკრო და მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირებზე, აგრეთვე ინდივიდუალურ მეწარმეებზე;

ბ) ფიზიკური პირის ქონების გადასახადის წლიურ დეკლარაციაზე, აგრეთვე იმ საგადასახადო დეკლარაციებზე, რომელთა საგადასახადო ორგანოში ელექტრონული ფორმით წარდგენა ვერ ხორციელდება შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის არარსებობის გამო.

საქართველოს მთავრობის 2011 წლის 11 მარტის დადგენილება №121 - ვებგვერდი, 15.03.2011წ.

საქართველოს მთავრობის 2011 წლის 2 1 აპრილის დადგენილება №183 – ვებგვერდი, 27.04.2011წ.

მუხლი 1^{10}

1. საბაჟო დეპარტამენტის გაფორმების განყოფილებებსა და გაფორმების ეკონომიკურ ზონებში სსიპ – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების 54-ე და 82^2 გრაფებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევისათვის დადგენილი ტარიფები ორმაგდება საქონლის არასამუშაო დროს დეკლარირების განხორციელების შემთხვევაში, გარდა:

ა) „ფოთის“ გაფორმების ეკონომიკური ზონის მიერ მომსახურების გაწევისა;

ბ) ქ. ბათუმში, ბაქოს ქ. №11-ში მდებარე გაფორმების ადგილზე „ბათუმის“ გაფორმების ეკონომიკური ზონის მიერ საბაჟო დეკლარაციის – ფორმა 4-ის ან კონტეინერით შემოტანილ სატრანსპორტო საშუალებაში განთავსებული საქონლის გაფორმების მიზნით საბაჟო დეკლარაციის/რეექსპორტის დეკლარაციის შევსებისას.

2. საბაჟო დეპარტამენტის გაფორმების განყოფილებებსა და გაფორმების ეკონომიკურ ზონებში (ფოთის გაფორმების ეკონომიკური ზონის გარდა) სსიპ – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების 57-ე, მე-60–64-ე გრაფებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევისათვის დადგენილი ტარიფები ორმაგდება მომსახურების გაწევის მოთხოვნით არასამუშაო დროს მიმართვის შემთხვევაში.

3. არასამუშაო დროს მომსახურების გაწევისათვის დადგენილი ტარიფები არ ორმაგდება იმ პირისათვის, რომელსაც „ოქროს სიის“ მონაწილის სტატუსი მინიჭებული აქვს სსიპ – შემოსავლების სამსახურის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

4. ამ დადგენილების მიზნებისთვის, საბაჟო დეპარტამენტის გაფორმების განყოფილებებსა და გაფორმების ეკონომიკურ ზონებში არასამუშაო დროა ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით – 18 საათიდან მომდევნო დღის 10 საათამდე პერიოდი, შაბათს – 18 საათიდან ორშაბათის 10 საათამდე პერიოდი და უქმე დღეები.

5. საბაჟო დეპარტამენტის გაფორმების განყოფილებებსა და გაფორმების ეკონომიკურ ზონებში „სსიპ – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების“ მე-60 – 64-ე გრაფებით გათვალისწინებული მომსახურება არ გაიწევა, ხოლო 54-ე, 68-ე, 68^1, 82^1, 82^2, 86-ე, 87-ე და 103-ე გრაფებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევისას საბაჟო დეკლარაციის/რეექსპორტის დეკლარაციის შევსება არ განხორციელდება შაბათს 18 საათიდან ორშაბათის 10 საათამდე პერიოდსა და უქმე დღეებში.

საქართველოს მთავრობის 2011 წლის 8 ოქტომბრის დადგენილება №374 - ვებგვერდი, 12.10.2011წ.
საქართველოს მთავრობის 2011 წლის 13 ოქტომბრის დადგენილება №394 - ვებგვერდი, 18.10.2011წ.
საქართველოს მთავრობის 2011 წლის 18 ნოემბრის დადგენილება №437 - ვებგვერდი, 25.11.2011წ.
საქართველოს მთავრობის 2011 წლის 8 დეკემბრის დადგენილება №468 - ვებგვერდი, 13.12.2011წ.
საქართველოს მთავრობის 2012 წლის 30 მაისის დადგენილება №197 - ვებგვერდი,01.06.2012წ.
საქართველოს მთავრობის 2012 წლის 13 ივნისის დადგენილება №214 - ვებგვერდი, 15.06.2012წ.
საქართველოს მთავრობის 2012 წლის 25 ივნისის დადგენილება №227 - ვებგვერდი, 28.06.2012წ.
საქართველოს მთავრობის 2013 წლის 25 აპრილის დადგენილება №89 – ვებგვერდი, 26.04.2013წ.
საქართველოს მთავრობის 2013 წლის 17 მაისის დადგენილება №118 – ვებგვერდი, 2 1.05.2013წ.
საქართველოს მთავრობის 2013 წლის 15 ნოემბრის დადგენილება №296 – ვებგვერდი, 18.11.2013წ.
საქართველოს მთავრობის 2014 წლის 10 იანვრის დადგენილება №44 – ვებგვერდი, 15.01.2014წ.
საქართველოს მთავრობის 2014 წლის 10 იანვრის დადგენილება №43 – ვებგვერდი, 15.01.2014წ.
საქართველოს მთავრობის 2014 წლის 11 ივნისის დადგენილება №377 - ვებგვერდი, 12.06.2014წ.
საქართველოს მთავრობის 2015 წლის 5 მარტის დადგენილება №86 - ვებგვერდი, 09.03.2015წ.
საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 ივნისის დადგენილება №251 - ვებგვერდი, 13.06.2016წ.
საქართველოს მთავრობის 2017 წლის 10 ოქტომბრის დადგენილება №461 - ვებგვერდი, 11.10.2017წ.
საქართველოს მთავრობის 2019 წლის 27 სექტემბრის დადგენილება №472 – ვებგვერდი, 01.10.2019წ.

მუხლი 1^{11}. (ამოღებულია)

საქართველოს მთავრობის 2011 წლის 26 ივლისის დადგენილება №293 – ვებგვერდი, 29.07.2011წ.
საქართველოს მთავრობის 2011 წლის 13 ოქტომბრის დადგენილება №394 - ვებგვერდი, 18.10.2011წ.
საქართველოს მთავრობის 2011 წლის 18 ნოემბრის დადგენილება №437 - ვებგვერდი, 25.11.2011წ.
საქართველოს მთავრობის 2011 წლის 27 დეკემბრის დადგენილება №495 - ვებგვერდი, 30.12.2011წ.
საქართველოს მთავრობის 2012 წლის 24 იანვრის დადგენილება №22 - ვებგვერდი, 26.01.2012წ.
საქართველოს მთავრობის 2012 წლის 30 აპრილის დადგენილება №160 - ვებგვერდი, 03.05.2012წ.
საქართველოს მთავრობის 2017 წლის 19 ოქტომბრის დადგენილება №467 - ვებგვერდი, 20.10.2017წ.

მუხლი 1^{12}

1. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების“ მე-2 გრაფით გათვალისწინებული მომსახურების საფასური გადახდილი უნდა იქნეს პირადი საგადასახადო მრჩევლის ხელშეკრულების დადებიდან 5 დღის ვადაში, გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

2. პირი უფლებამოსილია „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების“ მე-2 გრაფით გათვალისწინებული მომსახურების საფასური გადაიხადოს ორ ნაწილად : პირველი ნახევარი – პირადი საგადასახადო მრჩევლის ხელშეკრულების დადებიდან 5 დღის ვადაში, ხოლო მეორე ნახევარი – ხელშეკრულების დადებიდან 6 თვის ვადაში.

3. პირადი საგადასახადო მრჩევლის ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლამდე პირის მიერ მომდევნო

წლის მომსახურების საფასურის გადახდის შემთხვევაში, აღნიშნული ხელშეკრულების მოქმედების ვადა გაგრძელდება დამატებით ერთი წლით.

4. თუ პირმა პირადი საგადასახადო აგენტის მომსახურებით სარგებლობა დაიწყო 2012 წლის 1 იანვრამდე, იგი უფლებამოსილია აღნიშნული მომსახურებით სარგებლობის 6-თვიანი ვადის განმავლობაში მიმართოს საგადასახადო ორგანოს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების“ მე-2 გრაფით გათვალისწინებული პირობებით პირადი საგადასახადო მრჩევლის მომსახურებით სარგებლობის მოთხოვნით.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, პირი უფლებამოსილია საფასურის ანგარიშში ჩაითვალოს 2012 წლის 1 იანვრამდე დაწყებული მომსახურებით სარგებლობისათვის გადახდილი საფასურის თანხა, დარჩენილი პერიოდის (მიუღებელი მომსახურების) პროპორციულად.

6. საწარმოს/ორგანიზაციის ლიკვიდაციის/რეორგანიზაციის საფუძვლით პირადი საგადასახადო მრჩევლის მომსახურების ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში პირი უფლებამოსილია დაიბრუნოს პირადი საგადასახადო მრჩევლის მომსახურებით სარგებლობისათვის გადახდილი საფასურის თანხა, დარჩენილი პერიოდის (მიუღებელი მომსახურების) პროპორციულად.

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 24 იანვრის დადგენილება №22 - ვებგვერდი, 26.01.2012წ.
საქართველოს მთავრობის 2012 წლის 25 ივნისის დადგენილება №227 - ვებგვერდი, 28.06.2012წ.
საქართველოს მთავრობის 2012 წლის 8 აგვისტოს დადგენილება №327 - ვებგვერდი, 08.08.2012წ.

მუხლი 1^{13}. (ამოღებულია)

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 30 აპრილის დადგენილება №160 - ვებგვერდი, 03.05.2012წ.
საქართველოს მთავრობის 2017 წლის 19 ოქტომბრის დადგენილება №467 - ვებგვერდი, 20.10.2017წ.

მუხლი 1^{14}

„სსიპ – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების“ მე-100 გრაფით გათვალისწინებული მომსახურების საფასურის გადახდისაგან პირი თავისუფლდება მის მიერ შემოტანილ საქონელზე საქართველოს საბაჟო კოდექსის 103-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული განკარგვის ღონისძიებების განხორციელების შემთხვევაში.“;

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 7 ოქტომბრის დადგენილება №520 - ვებგვერდი, 08.10.2015წ.
საქართველოს მთავრობის 2019 წლის 27 სექტემბრის დადგენილება №472 – ვებგვერდი, 01.10.2019წ.

მუხლი 1^{15}

„სსიპ – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების“ 102-ე გრაფით გათვალისწინებული მომსახურების გაწევისათვის ავტოსადგომის მფლობელის მიერ მომსახურების საფასური გადახდილი უნდა იქნეს „საბაჟო გამშვებ პუნქტებში ავტოსატრანსპორტო საშუალებების რიგების მართვის ელექტრონულ სისტემაში“ ავტოსატრანსპორტო საშუალების მონაცემების ასახვიდან 5 დღის ვადაში.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 დეკემბრის დადგენილება №545 - ვებგვერდი, 13.12.2016წ.

მუხლი 1^{16}

სსიპ – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების“ 104-ე და 105-ე გრაფებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევისათვის დადგენილი საფასურის გადახდისაგან გათავისუფლებულია საქონლის ტრანზიტი.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 27 მარტის დადგენილება №145 - ვებგვერდი, 29.03.2018წ.

მუხლი 1^{17}

1. „სსიპ – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების“ 122-ე–125-ე გრაფებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევისათვის:

ა) შავი ან/და ფერადი ლითონების ჯართად და შავი ან/და ფერადი ლითონების ნარჩენად (შავი ლითონის წარმოების ნარჩენისა და ფერადი ლითონების დაუმუშავებელი შენადნობის გარდა) მიიჩნევა ლითონის მეორადი ნედლეული, რომელიც განკუთვნილია საწარმოო გადამუშავებისათვის და რომელიც წარმოიშობა ლითონის წარმოების ან მექანიკური დამუშავების პროცესში, ასევე ლითონის ის ნაკეთობები, რომლებიც გამოუსადეგარია იმ დანიშნულებით გამოსაყენებლად, რისთვისაც ისინი შეიქმნა გატეხვის, გაცვეთის (მათ შორის, მორალური), მექანიკური, ქიმიური დაზიანების ან სხვა მიზეზთა გამო.

შენიშვნა: ამ ქვეპუნქტით წარმოდგენილი შავი ან/და ფერადი ლითონების ჯართისა და შავი ან/და ფერადი ლითონების ნარჩენის (შავი ლითონის წარმოების ნარჩენისა და ფერადი ლითონების დაუმუშავებელი შენადნობის გარდა) განმარტება არ მოიცავს შავი ლითონის სხმულებს, ზოდებს, ნაგლინს, სხვა პირველადი გადამუშავების ნედლეულსა და ნახევარფაბრიკატებს, რომლებიც კლასიფიცირდება საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 7201, 7102, 7203, 7205, 7206, 7207 სასაქონლო პოზიციებსა და 7204 50 000 00 სასაქონლო ქვესუბპოზიციაში;

ბ) შავი ლითონის წარმოების ნარჩენად მიიჩნევა ლითონის მაღალი (20%-იანი და მეტი) შემცველობის მქონე ნარჩენი;

გ) ფერადი ლითონის დაუმუშავებელ შენადნობად მიიჩნევა ფერადი ლითონი ან/და ფერადი ლითონების

შენადნობი წარმოდგენილი შოთების, ზოდების, ლუგვების, ბრიკეტების ან სხვა პირველად ფორმებში.
საქართველოს მთავრობის 2019 წლის 27 სექტემბრის დადგენილება №472 – ვებგვერდი, 01.10.2019წ.

მუხლი 1[18]

ამ დადგენილებით განსაზღვრული მომსახურების გაწევისას მომსახურების საფასურების გადახდა ხორციელდება „ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებით დამტკიცებული ბიუჯეტის შემოსულობების შესაბამის ცხრანიშნა სახაზინო კოდებზე.
საქართველოს მთავრობის 2019 წლის 27 სექტემბრის დადგენილება №472 – ვებგვერდი, 01.10.2019წ.

[მუხლი 1[19]

„სსიპ – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების“ მე-15 გრაფით გათვალისწინებული მომსახურების გაწევისათვის დადგენილი საფასურის გადახდისაგან გათავისუფლებულია ერთ ობიექტზე დღეში ერთხელ 100 ლარამდე ღირებულების ვადაგასული ან/და გამოსაყენებლად ან შემდგომი მიწოდებისთვის უვარგისი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ჩამოწერის დოკუმენტის, ასევე სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გამარტივებული წესით ჩამოწერის შესახებ შეტყობინების დადასტურება. ***(ამოქმედდეს 2020 წლის 1 ივლისიდან)]***
საქართველოს მთავრობის 2020 წლის 25 ივნისის დადგენილება №382 – ვებგვერდი, 26.06.2020წ.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2010 წლის 20 ივნისიდან.
საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 მაისის დადგენილება №149 - სსმ III, №61, 31.05.2010წ., მუხ.914

პრემიერ-მინისტრი ნ. გილაური

სსიპ – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურები და მათი განაკვეთები

№	მომსახურების სახე	მომსახურების ვადა	მომსახურების ტარიფი (დღგ-ის ჩათვლით)
1	აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის ნებართვის გაცემა (გარდა წამახალისებელი გათამაშების მოწყობის ნებართვის გაცემისა)	20 სამუშაო დღე 10 სამუშაო დღე 5 სამუშაო დღე 3 სამუშაო დღე	უფასო 400 ლარი 800 ლარი 2 000 ლარი
2	პირადი საგადასახადო მრჩევლის მომსახურება	1 წელი	საწარმოებისთვის, ორგანიზაციებისა და ინდივიდუალური მეწარმეებისთვის (გარდა ახლად რეგისტრირებული საწარმოებისა, ორგანიზაციებისა და ინდივიდუალური მეწარმეებისა) – 3 000 ლარი; ახლად რეგისტრირებული საწარმოების, ორგანიზაციებისა და ინდივიდუალური მეწარმეებისთვის – 1 000 ლარი; ფიზიკური პირებისათვის – 500 ლარი. **შენიშვნა:** ამ გრაფის მიზნებისთვის: 1. ახლად რეგისტრირებულ საწარმოდ/ორგანიზაციად/ ინდივიდუალურ მეწარმედ მიიჩნევა საწარმო/ორგანიზაცია/ ინდივიდუალური მეწარმე, რომელიც რეგისტრირებულია აღნიშნული მომსახურებით სარგებლობისთვის განცხადებით

			მომართვის წელს. 2. ორგანიზაციად მიიჩნევა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 30-ე მუხლით გათვალისწინებული წარმონაქმნები.
3	გადასახადის გადამხდელის საბანკო დაწესებულების-/ანგარიშების შესახებ ცნობის გაცემა	3 სამუშაო დღეზე მეტი 3 სამუშაო დღე 1 სამუშაო დღე	უფასო 10 ლარი 20 ლარი
4	არქივიდან ერთი საანგარიშო პერიოდის ერთი სახის გადასახადის/ მოსაკრებლის დეკლარაციის/ გაანგარიშების და მისი დანართების ასლების გაცემა ან ელექტრონული ფორმით შევსებული ერთი საანგარიშო პერიოდის ერთი სახის გადასახადის/ მოსაკრებლის დეკლარაციის/ გაანგარიშების ასლის დამოწმება	10 სამუშაო დღე 2 სამუშაო დღე	20 ლარი 30 ლარი
5	გადასახადის გადამხდელის ინიციატივით საგადასახადო შემოწმების ჩატარება		ორგანიზაციებისათვის – 5000 ლარი; სხვა პირებისათვის: 12 თვემდე (მე-12 თვის ჩათვლით) პერიოდის შემოწმებისათვის – 10 000 ლარი; 12 თვეზე მეტი და 24 თვემდე (24-ე თვის ჩათვლით) პერიოდის შემოწმებისათვის – 20 000 ლარი; 24 თვეზე მეტი პერიოდის შემოწმებისათვის – 30 000 ლარი. **შენიშვნა:** ამ გრაფის მიზნებისათვის ორგანიზაციად მიიჩნევა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 30-ე მუხლით გათვალისწინებული წარმონაქმნები.
6	თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის ნებართვის გაცემა	20 სამუშაო დღე 5 სამუშაო დღე	უფასო 100 ლარი
7	(ამოღებულია – 18.11.2011, №437)		
8	(ამოღებულია – 18.11.2011, №437)		
9	(ამოღებულია – 18.11.2011, №437)		
10	გემის სანიტარიული კონტროლისაგან გათავისუფლების/გემის სანიტარიული კონტროლის ჩატარების მოწმობის გაცემა	1 სამუშაო დღე 1 სამუშაო დღეზე მეტი	400 ლარი 200 ლარი
11	ლუქების გამოყენებით ტვირთის გადაზიდვაზე ავტოსატრანსპორტო საშუალების დაშვების სერტიფიკატის გაცემა	4 საათი 1 დღე 1 დღეზე მეტი	400 ლარი 300 ლარი 200 ლარი
12	(ამოღებულია – 05.03.2015, №86)		
13	სეს ესნ-ის 8701, 8702, 8703, 8704, 8705 და 8711 სასაქონლო პოზიციებით გათვალისწინებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალების (რომლის შიგაწვის ძრავას ცილინდრის მუშა მოცულობა 50 სმ^3-ზე მეტია, ხოლო ელექტრომძრავას შემთხვევაში – მაქსიმალური გამომუშავებული სიმძლავრე 4 კვტ-ზე მეტია) ან 8716		ყოველ კალენდარულ დღეზე 5 ლარი

	სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებული მისაბმელისა და ნახევრად მისაბმელის გაფორმების მიზნით, საბაჟო დეკლარაციის/რეექსპორტის დეკლარაციის წარდგენის ვადის გაგრძელება საბაჟო საწყობში დროებით დასაწყობების გარეშე		
14	საგადასახადო ორგანოს მიერ წინასწარი გადაწყვეტილების გამოცემა (გარდა 48-ე და 49-ე გრაფებით გათვალისწინებული შემთხვევებისა)	90 კალენდარული დღე	10 000 ლარი (გარდა რეზიდენტი ფიზიკური პირებისა); რეზიდენტი ფიზიკური პირებისათვის – 5 000 ლარი. **შენიშვნა:** ამ გრაფის მიზნებისათვის, ფიზიკური პირის რეზიდენტობა განისაზღვრება წინასწარი გადაწყვეტილების გამოცემის თაობაზე მოთხოვნის წარდგენის წინა კალენდარული (საგადასახადო) წლის მიხედვით.
